ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 81 (20727) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ, 1990 ᲬᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

4 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები შეხვდნენ ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. განიხილეს რესპუბლიკის კომპარტიის მომავალ XV ყრილობასთან დაკავშირებული საკითხები.

აზრთა გულახდილი გაზიარების დროს აღინიშნა, რომ ლატვიის სს რესპუბლიკაში სიტუაცია კვლავ რთული და წინააღმდეგობრივია, მიმდინარეობს დაგროვილ პრობლემათა გადაჭრის გზების ძნელი ძიება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავე დისკუსია მიმდინარეობს ლატვიის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კომპარტიის როლის გადიდების საკითხებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლატვიის კომპარტიის XV ყრილობის ძირითადი ამოცანაა შეიმუშაოს მოქმედების კონსტრუქციული პროგრამა და მის საფუძველზე მიაღწიოს მთელი ძალების ერთიანობასა და კონსოლიდაციას, რომლებისთვისაც ნამდვილად ძვირფასია რესპუბლიკის, მისი ხალხის ბედი.

შეხვედრაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.



ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲓᲐᲫᲚᲘᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში მდგომარეობა სტაბილური ხდება. შესრულდა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის პირველი კვარტალის დავალებები. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება სამი პროცენტით გაიზარდა. ათვისებულია ახალი მოდელის სახარატო პროგრამული მართვის ჩარხი, რომელიც დამუშავების სიზუსტითა და სიმიდლობით გამოირჩევა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ გაერთიანების მაღალი კვალიფიკაციის ამწყობ ზეინკლებს ოთარ კაკალაშვილსა და [illegible] ჩაჩუას.

თეიმურაზ ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ. წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ინტენსიურად განხორციელდება და ძირითადად დამთავრდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული აჭარისა და სვანეთის მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და კომუნიკაციათა მშენებლობის პროგრამა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

გადასახლებულნი სახელმწიფოსაგან მიიღებენ 3212 კეთილმოწყობილ ინდივიდუალურ სახლს. ამ საერთო-რესპუბლიკური ამოცანის განსახორციელებლად განისაზღვრა შემსრულებლები, სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა და ვადები, დაკონკრეტდა ახალშენებლობათა მისამართები, გამოიძებნა საჭირო სახსრები და რესურსები. გადაიჭრება იმ 4914 ოჯახის პრობლემების კომპლექსიც, რომლებიც საკუთარი ძალებით იშენებენ საცხოვრებელ სახლებს. მათ უზრუნველყოფენ საჭირო კრედიტებით, საშენი მასალებით, ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, ადგილობრივი საბჭოები.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქალაქ წყალტუბოს ზონაში და ცაგერის რაიონში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის საკითხი. დაისახა მოსახლეობისათვის ცხოვრებამოქმედების ნორმალური პირობების შექმნის ოპერატიული ღონისძიებები. კერძოდ, ზვავების ჩამოწოლის გამო გადასახლებულ სოფელ შექვენას მცხოვრებთა 81 ოჯახს მიეცემა საკარმიდამო ნაკვეთები და გრძელვადიანი კრედიტები ახალი სახლების ასაშენებლად. უბედურების ზონაში აღდგენითი სამუშაოებთან ერთად წლის განმავლობაში დამთავრდება კავშირგაბმულობის, ენერგომომარაგების ახალი სისტემების, გზების გაყვანა, აშენდება სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

განიხილეს ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების ღონისძიებათა საკითხი, აგრეთვე ქართული ჩაის ყოფილი დიდების აღორძინების პრობლემა. პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ხელმძღვანელობას მოსთხოვა შეიმუშაოს და მთავრობის განსახილველად შეიტანოს ამ დარგის გაჯანსაღებისა და გარდაქმნის კომპლექსური პროგრამა, დარგისა, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ჩაის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის რეალიზაცია სულ უფრო ფართოდ გადაიკეცება პრაქტიკულ საქმეებად, აღინიშნა სხდომაზე. იქმნება მრავალდარგოვანი საწარმოები და ასოციაციები, რომელთა საქმიანობას ეკონომიკური რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად საფუძვლად დაედება ახალი სამეურნეოსაგარეშებრივი სახელმწიფო-კოოპერაციული ურთიერთობანი. პრეზიდიუმმა დაამტკიცა კიდევ ორი ამგვარი ახალი ტიპის ორგანიზაციის — რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული ასოციაციის „იბერიის“ და დამოუკიდებელი მრავალდარგოვანი ფირმის „ამჭრის“ წესდებები. მათი საქმიანობის დიაპაზონი უაღრესად ფართოა — სახალხო მოხმარების საქონლის და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებითა და რეალიზაციით დაწყებული და საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნით დამთავრებული.

რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ბევრად განსაზღვრავს მისი საგალუტო-საკრედიტო სისტემის შესაძლებლობანი. ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პრეზიდიუმმა მოიწონა სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ბანკის საქართველოს განყოფილების კოლეგიის ინიციატივა — რეგისტრაციაში გატარდა ფონდი „ბანკირი“, რომელიც ხელს უწყობს საგალუტო-საკრედიტო სისტემის განმტკიცებას. მას შეადგენს რესპუბლიკათაშორისი ორგანოების, საწარმო-ორგანიზაციათა, კერძო პირთა ნებაყოფლობითი შენატანები მანეთობით და უცხოური ვალუტით. ეს სახსრები მოხმარდება ეკონომიკის გაჯანსაღების გადაუდებელი პრობლემებისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, ეკოლოგიურ-ეკონომიკური დაბინძურებისაგან, მმართველობის სხვადასხვა ორგანოს ზეგავლენისაგან. ყოველივე ეს გაზრდის ხელმძღვანელთა პიროვნული პასუხისმგებლობის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის.

კანონის პროექტი ითვალისწინებს ყველა სახეობის სახელმწიფო საწარმოებისათვის (გაერთიანებებისათვის) სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხელმძღვანელთა დანიშვნასა და განთავისუფლებას. საიჯარო საწარმოს ხელმძღვანელს ირჩევს, ან ნიშნავს, ან ხელშეკრულებით იღებს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შრომითი კოლექტივი. ხელმძღვანელთა დანიშვნისა და განთავისუფლების შესაბამისი წესი გათვალისწინებულია საწარმოებისათვის, რომლებიც განეკუთვნებიან სხვა სიხეობათა საკუთრებას.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მუხლს საწარმოს ხელმძღვანელის მუშაობის პირობებისა და გარანტიების შესახებ. იგი აწესებს ნორმას, რომლის შესაბამისად ხელმძღვანელის უფლება, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, მისი მატერიალური უზრუნველყოფისა და თანამდებობიდან განთავისუფლების პირობები განისაზღვრება მასა და ქონების მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს შორის შეთანხმებით.

ამავე დროს, შემოთავაზებულია „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონში შეტანილ იქნეს ცვლილებანი და ამოღებულ იქნეს დებულება ხელმძღვანელთა არჩევითობის შესახებ; შესაბამისი კოლექტივები უნდა გაკეთდეს შრომის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებშიც.

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს საკუთრების ყველა ფორმის, სამეურნეო ინიციატივისა და მეწარმეობის განვითარების დაჩქარებას, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲤᲐᲠᲗᲝ საჯაროობის ატმოსფეროში ჩაივლის სსრ კავშირის პრეზიდენტის, მის მიერ შექმნილი სამუშაო ორგანოების საქმიანობა. ეს თქვეს პრეზიდენტთან არსებული პრესსამსახურის ჟურნალისტებთან პირველ შეხვედრაზე. ბრიფინგი გაიმართა 3 აპრილს მოსკოვში. სსრ კავშირის პრეზიდენტთან არსებული პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ა. ა. მასლენკოვმა, რომელიც ეს-ეს არის დაინიშნა ამ თანამდებობაზე, აღნიშნა, რომ მ. ს. გორბაჩოვის მითითებით კვირაში ერთხელ მაინც მოეწყობა ამგვარი შეხვედრები პრესასთან. რეგულარულად შეხვდება ჟურნალისტებს თვით პრეზიდენტიც.

მ. ს. გორბაჩოვის, როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტის, უკვე პირველი სამუშაო დღეებისადმი საბჭოთა და უცხოელმა კორესპონდენტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს. მათ მიაწოდეს ინფორმაცია საპრეზიდენტო საბჭოსა და ფედერაციის საბჭოს სხდომების შესახებ, რომელთა ყურადღების ცენტრში იყო ქვეყანაში გარდაქმნის დაჩქარების საკითხები, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პრეზიდენტის პრაქტიკულ ნაბიჯებს.

პრესის წარმომადგენლებს უპასუხეს კითხვებზე: დამთავრდა თუ არა საპრეზიდენტო საბჭოს ჩამოყალიბება, რა პრობლემებს გადაწყვეტს მომავალში როგორც იგი, ისე ფედერაციის საბჭო, შეძლებს თუ არა ეფექტიანად მუშაობას „პრეზიდენტის გუნდი“ არჩეული შემადგენლობით, და სხვ.

ჟურნალისტებმა ინტერესი გამოიჩინეს ლატვიის სსრ უზენაესი საბჭოს ცნობილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული მოვლენებისადმი. მათ განუმარტეს, რომ ლატვია საბჭოთა კავშირის ნაწილია, და რესპუბლიკისა და ქვეყნის ურთიერთობის ყველა პრობლემა უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

უპასუხა რა კითხვებს, პრესსამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი თავის დიდ საზრუნავთან ერთად არ ივიწყებს ყურადღებით ადევნოს თვალი პრესის გამოსვლებსაც. მაგალითად, მშრომელთა წერილებისა და უკანასკნელი დღეების გაზეთების მასალების მიხედვით მან კონკრეტული დავალებანი მისცა მთავრობას.

ჟურნალისტებს ესაუბრნენ ეკონომიკური პოლიტიკის, ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში დემოკრატიულ გარდაქმნათა შემდგომი დაჩქარების მნიშვნელოვან საკითხთა პრეზიდენტის დონეზე მომავალი განხილვის არსის შესახებ. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲒᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲘᲚᲬᲔᲣᲚᲘ მორიგების თანახმად, სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება მომდინარე წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე.

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ბროშურად გამოვიდა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება. პროექტი“.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ და დაბეჭდილია „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში.

* * *

ᲪᲐᲚᲙᲔ ბროშურად გამოიცა „სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობაზე 1990 წლის 15 მარტს“.

ბროშურა გამოუშვა მოსკოვის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ, დაბეჭდა სტამბა „წითელმა პროლეტარმა“.

(ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ვ. ᲘᲐᲠᲣᲖᲔᲚᲡᲙᲘ

სსრ კავშირის პრეზიდენტის მოწვევით 1990 წლის 11-14 აპრილს საბჭოთა კავშირს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. იარუზელსკი.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 6 აპრილი. (საკდისი). გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა დაკმაყოფილა ს. გ. არუთინიანის თხოვნა და გაათავისუფლა იგი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ვ. ბ. მოვსესიანი, რომელიც აქამდე სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲓᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ —

ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერების, სხვადასხვა ნაციონალისტური და სეპარატისტული გაერთიანებების იმ საქმიანობის გადაჭრით აღკვეთის საჭიროებას, რომლის მიზანია მოქალაქეთა დისკრიმინაცია მათ ეროვნულ კუთვნილებასთან, ენასთან, სარწმუნოებასთან დაკავშირებით, ეროვნებათაშორისი მტრობისა და შუღლის გაღვივება, სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევა;

ითვალისწინებს სსრ კავშირის საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო წესით უნდა აიკრძალოს ყოველგვარი საქმიანობა, რომლის მიზანია მოქალაქეთა დისკრიმინაცია, ეროვნული სიძულვილის, მტრობისა და ძალმომრეობის გაღვივება.

1. მოქალაქეთა ყოველი გაერთიანების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი მოძრაობების საქმიანობა, რომლის მიზანია ეროვნული ან რასობრივი მტრობის, შუღლის ან უპატიცემლობის გაღვივება, ძალადობის გამოყენება ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ საფუძველზე, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის უშუალოდ გამიზნული მათი საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოა და უნდა აიკრძალოს.

2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული გაერთიანებების საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება და იკრძალება მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაბამისად მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანდა პროკურორის წარდგინებით.

იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეთა აღნიშნული გაერთიანებების საქმიანობა ვრცელდება რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან ეხება რესპუბლიკათაშორისოს ურთიერთობას, ამ გაერთიანებების საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სსრ კავშირის უზენაესმა სასამართლომ სსრ კავშირის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგენით, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან სხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანდა პროკურორის წარდგინებით.

ამავე დროს, „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონში შეტანილ იქნეს ცვლილებანი და ამოღებულ იქნეს დებულება ხელმძღვანელთა არჩევითობის შესახებ; შესაბამისი კოლექტივები უნდა გაკეთდეს შრომის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველზეც.

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს საკუთრების ყველა ფორმის, სამეურნეო ინიციატივისა და მეწარმეობის განვითარების დაჩქარებას, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამომქმედოდ სსრ კავშირის კანონი „მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრ კავშირის ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

2. რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრ კავშირის ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 2 აპრილი.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲓᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ —

ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერების, სხვადასხვა ნაციონალისტური და სეპარატისტული გაერთიანებების იმ საქმიანობის გადაჭრით აღკვეთის საჭიროებას, რომლის მიზანია მოქალაქეთა დისკრიმინაცია მათ ეროვნულ კუთვნილებასთან, ენასთან, სარწმუნოებასთან დაკავშირებით, ეროვნებათაშორისი მტრობისა და შუღლის გაღვივება, სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევა;

ითვალისწინებს სსრ კავშირის საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო წესით უნდა აიკრძალოს ყოველგვარი საქმიანობა, რომლის მიზანია მოქალაქეთა დისკრიმინაცია, ეროვნული სიძულვილის, მტრობისა და ძალმომრეობის გაღვივება.

1. მოქალაქეთა ყოველი გაერთიანების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი მოძრაობების საქმიანობა, რომლის მიზანია ეროვნული ან რასობრივი მტრობის, შუღლის ან უპატიცემლობის გაღვივება, ძალადობის გამოყენება ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ საფუძველზე, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის უშუალოდ გამიზნული მათი საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოა და უნდა აიკრძალოს.

2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული გაერთიანებების საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება და იკრძალება მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაბამისად მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანდა პროკურორის წარდგინებით.

იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეთა აღნიშნული გაერთიანებების საქმიანობა ვრცელდება რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან ეხება რესპუბლიკათაშორისოს ურთიერთობას, ამ გაერთიანებების საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სსრ კავშირის უზენაესმა სასამართლომ სსრ კავშირის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგენით, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან სხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანდა პროკურორის წარდგინებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ საქმეებს იხილავენ სახალხო სასამართლოები ერთპიროვნულად.

4. დადგინდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის საჯარო მოწოდებების გამო და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლი „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 8; სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1989 წ., № 9, მუხ. 203) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 7.** მოწოდებები საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური დამხობის ან შეცვლისათვის ანდა სსრ კავშირის ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის;

საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური დამხობის ან შეცვლისათვის ანდა სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ტერიტორიის ერთიანობის ძალადური დარღვევისათვის საჯარო მოწოდებები, აგრეთვე ამ მიზნით ასეთი შინაარსის მასალების გავრცელება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან ათი ათას მანეთამდე ჯარიმით.

იგივე მოქმედება გამეორებით ჩადენილი ან ორგანიზებული პირთა ჯგუფის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით მეცხრე წლამდე ვადით ან ოცი ათას მანეთამდე ჯარიმით.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება ჩადენილი უცხოეთის ორგანიზაციათა ან მათ წარმომადგენელთა დავალებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე ვადით ქონების კონფისკაციით ან უმისოდ“.

5. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ი მუხლის პირველ ნაწილს (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 6; 1969 წ., № 29, მუხ. 249), დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი (მათემატიკური ნიშანი პრიმ1):

„3 (მათემატიკური ნიშანი პრიმ1) დანაშაულის ჩადენა ეროვნული ან რასობრივი მტრობისა ან უპატიცემულობის ნიადაგზე“.

6. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით დამტკიცებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 28-ე მუხლის პირველ ნაწილში (სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 15; 1961 წ., № 26, მუხ. 270; 1963 წ., № 16, მუხ. 181; 1981 წ., № 33, მუხ. 966; 1984 წ., № 3, მუხ. 58; 1989 წ., № 15, მუხ. 106; სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები. 1989 წ., № 9, მუხ. 203) სიტყვები „7 (მოწოდებები საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური დამხობ

საავადმყოფო სანიმუშო იქნება

თბილისის მე-7 საავადმყოფო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან საავადმყოფოთა შორის, რომელიც უშუალოდ ქალაქს ეკუთვნის. ახლახან აქ გახსნეს განყოფილებები, რომლებიც არ არის ქალაქის არც ერთ სხვა საავადმყოფოში: რევმატოლოგიური, ალერგოლოგიური და გასტროენტეროლოგიური. თანაც, ამ უკანასკნელში დანერგილია კუქ-ნაწლავის ტრაქტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი პროგრესული მეთოდები. ფაქტობრივად შეიქმნა სამკურნალო ფიზკულტურისა და წყალსამკურნალო განყოფილებაც, მაგრამ...

...მაგრამ პაციენტების მიღება მას ჯერჯერობით არ შეუძლია, — თქვა მთავარმა ექიმმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა გიორგი შარაშიძემ — იმის გამო, რომ კატასტროფულად არ გვყოფნის ფართობი. როგორც იტყვიან, ეს კარგი ცხოვრებით როდია გამოწვეული, წყალსამკურნალოს ნაგებობაში მოგვიწია მოგვეთავსებინა მიმღები განყოფილება, საწყობები და აფთიაქი. ახლა მთელ იმედებს ვამყარებთ იმაზე, რომ მშენებლები ზაფხულისათვის დაგვპირდნენ ორი ახალი კორპუსის გადმოცემას, რომლებიც უკვე აშენდა ჩვენი საავადმყოფოს ტერიტორიაზე. მაშინ მეტი ადგილიც გვექნება და პაციენტებს ნორმალურ პირობებში მიღებასაც შევძლებთ. ჯერჯერობით კი რენტგენის გადაღების შესაძლებლობაც არა გვაქვს — თანამედროვე, ძვირადღირებული აპარატურა არც კი გაგვიხსნია. სადაცაა მივიღებთ კიდევ რამდენიმე უნიკალურ სადიაგნოსტიკო აპარატს, რომელიც ახალ შენობაში უნდა დამონტაჟდეს. საბედნიეროდ, ეს დროებითი სიძნელეებია.

— ერთმანეთთან დახურული გადასასვლელით დაკავშირებული 9- და 4-სართულიანი კორპუსების საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, ყოველ განყოფილებას თავისი სართული ექნება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გიორგი შარაშიძემ — პირველი სართულები დაეთმობა სამრეცხაოსა და სადეზინფექციო სამსახურებს, აფთიაქს, კვების ბლოკს. შემდეგ განლაგდება ხუთი საოპერაციო, სრულიად იზოლირებული იქნება ჩირქოვანი ქირურგიის, რეანიმაციის, ინტენსიური თერაპიის განყოფილებები. ყოფფორტული პალატები ორი ავადმყოფისათვის „არის გათვალისწინებული. ყოველ სართულს თავისი ბუფეტი ექნება. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლოს და ბოლოს, შევძლებთ საჭირო პირობები შევუქმნათ სტუდენტებს, რომლებიც პრაქტიკას გადიან საავადმყოფოში. ასეთი სტუდენტი კი ჩვენთან ყოველწლიურად თითქმის ორი ათასია. საავადმყოფოს ბაზაზე ხომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრები მოქმედებენ. ჯერჯერობით ერთადერთი პატარა აუდიტორია გვაქვს, და ლექციების კითხვა დერეფნებში გვიწევს.

ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ მე-7 საავადმყოფო ეტალონურ სამკურნალო დაწესებულებად გადავაქციოთ.

როგორც გვაცნობეს, ახალი საავადმყოფო კომპლექსის მშენებლობა ოთხი მილიონი მანეთი დაჯდა. ეს თანხა შეგროვდა საავადმყოფოს ეკონომიის ფონდის სახსრებიდან და, მნიშვნელოვანწილად, იმ ფულით, რომელიც გამოყვეს შეფუბმა — „საქჰიდროპროექტმა“ და ყრუმუნჯთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.



სურათებზე: შენდება საავადმყოფოს ახალი კორპუსები. გასტროენტეროლოგიის კაბინეტი. გამოკვლევას ახორციელებენ ექიმები მაია ბერუაშვილი (წინა პლანზე), გულიკო ჩიხლაძე და რუსუდან კერვალიშვილი.

(საქინფორმის ფოტო).

მედიკოსთა პროფკავშირი დაეუკიდებელია!

თბილისში გაიმართა საქართველოს ექიმთა მუშაკთა პროფკავშირის პირველი ყრილობა. მისაღა დელეგატებმა თითქმის ერთხმად დაუჭირეს მხარი თავიანთი დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნას. მიიღეს ამ ახალი ორგანიზაციის წესდება და პროგრამა. ამიერიდან მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ყოფილი რესპუბლიკური კომიტეტი გარდაქმნა საბჭოდ. მას განზრახული აქვს კარდინალურად გააუმჯობესოს ადამიანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, შრომის დაცვა, და ცენტრალური უწყებებისაგან დამოუკიდებლად მართოს თავისი საქმეები. გარდა ამისა, საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭოში შეიკრა ალიანსი. ამ ალიანსში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ალიანსად ითვლება, ექვსი ასეული ადამიანია. ალიანსი ეხმარება ერთმანეთს ინფორმაციით, ურთიერთ-ინფორმაციის ბიულეტენებით, ერთობლივ ინფორმაციულ ბანკებზე ერთობლივ ინფორმაციულ ბანკებზე ერთობლივ ინფორმაციულ ბანკებზე

განჭიხილავთ საპენსიო უზრუნველყოფის კანონის პროექტს

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება

„სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის კანონის“ პროექტი, რომელიც მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, დიდმნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღონისძიებებს ითვალისწინებს. იგი უშუალოდ ეხება მილიონობით სამშობლოს ადამიანის საარსებო ინტერესებს.

პროექტი ძირითადად მოწონებას იმსახურებს, ამასთანავე გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა.

მასში სრულებით არ არის გათვალისწინებული რაიმე შეღავათის მინიჭება იმ პირებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თავდადებული შრომით დიდი სამამულო ომის პეროდში და დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ხომ უდავოა, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის უმაგალითო ბრძოლისა და შრომის შედეგი. 1988 წელს მიიღეს მთავრობის დადგენილება ზურგში მამაცური შრომისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთათვის ზოგიერთი იმ შეღავათის მინიჭების შესახებ, რომლებითაც სარგებლობენ დიდი სამამულო ომის მონაწილენი. მაგრამ ეს შეღავათი არ კმარა. უსამართლობა იქნებოდა საპენსიო უზრუნველყოფის ახალ კანონში არავითარი უპირატესობა არ მინიჭებოდათ ამ ადამიანებს მუშაობის სტაჟის გამოანგარიშებისას და პენსიაზე დანამატის მისაცემად. მით უფრო, რომ ასეთი ადამიანები აღარაცთუ ბევრნი არიან, რომ სახელმწიფოს გაუჭირდეს ამის დაფინანსება.

ძნელად გასაგებია პროექტის 32-ე მუხლში გათვალისწინებული I და II ჯგუფის ინვალიდების მოვლისათვის დანამატების მიცემა ეხებათ თუ არა ომში დაღუპულ მეომართა მშობლებსა და ცოლებს. საჭირო იქნება გარკვევით ითქვას ეს. ამავე დროს სამართლიანად უნდა იქნას მინიჭეული ამ უკანასკნელთა გათანაბრება სამამულო ომის ინვალიდებთან.

პენსიების მომატების შედეგად, ალბათ, ბევრი მუშა-მოსამსახურე, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკებიც გავლენ პენსიაზე. პროექტის 21-ე მუხლში ნათქვამია, რომ მომუშავე პენსიონერებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია და ხელფასი ერთად იმ ხელფასის ოდენობით, საიდანაც მოხდა პენსიის გამოანგარიშება. ხომ არ გამოიწვევს ეს შეზღუდვას, მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი შრომის სტიმულირების შემცირებას? ჩვენი აზრით, პენსიონერ მეცნიერ-მუშაკთა გამოგონებებისა და სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის კუთვნილ ჰონორარებს ეს შეზღუდვები არ უნდა ეხებოდეს.

პროექტის მე-5 განყოფილებაში — „მოკავშირე რესპუბლიკების, რეგიონებისა და შრომითი კოლექტივების უფლებები“ — ლაპარაკია პერსონალურ პენსიებზე. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ზოგი გამოთქვამს აზრს პერსონალური პენსიების გაუქმების შესახებ, რაც გათანაბრებითობის ტენდენციას გამოხატავს. არ შეიძლება ადამიანები არ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მათი დამსახურების მიხედვით. პერსონალური პენსიები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი საშუალებაა ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის. ამიტომ პროექტში ეს საკითხი მართებულადაა დასმული. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფერი კარგად ვერ არის ჩამოყალიბებული. ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია მხოლოდ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების შესახებ და ნახსენებიც კი არ არის საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს ეკონომიკური ანალიზის სექტორის გამგის ბ. ბოდროვის კომენტარებში აღნიშნულია, თითქოს პროექტში ლაპარაკი იყოს საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებზეც, სინამდვილეში პერსონალური პენსიების ასეთ დიფერენციაციას პროექტში ვერ ვპოულობთ. ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია კანონში ჩამოყალიბდეს როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი პენსიების ზღვრული ნორმები, აგრეთვე მომუშავე პერსონალურ პენსიონერთა პენსიების და ხელფასების საერთო ოდენობის ზღვრული ნორმებიც. აქამდე არსებული ნორმები ცნობილია, მაგრამ ახალი საპენსიო კანონმდებლობისათვის იგი სრულიად შეუსაბამოა. გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ პერსონალური პენსიონერების რაოდენობა არცთუ დიდია. სამივე კატეგორიის პერსონალური პენსიონერია 586 ათასი, ესე იგი პენსიონერთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ერთი პროცენტი.

დიდი ძალისხმევაა საჭირო ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის პირობებში საპენსიო უზრუნველყოფის კანონის განხორციელებისთვის, რაც დამატებით მოითხოვს 29 მილიარდ მანეთს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთგვარად შემცირდეს საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის უსასყიდლო დახმარების მოცულობა. მომდინარე წელს ეს დახმარება გათვალისწინებულია 12,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ინგლისური ჟურნალის „ეკონომისტის“ მონაცემებით, სსრ კავშირის საექსპორტო კრედიტი „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისათვის ჩვენი ქვეყნის იმპორტის დასაფარავად შეადგენს 60 მილიარდ დოლარს. ამავე დროს ამ კრედიტების დაფარვის დიდი იმედი არ შეიძლება ვიქონიოთ. ხშირად ხდება მათი განვადება, ზოგჯერ კი მთლიანად ჩამოწერა. და ეს მაშინ, როცა ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის მოცულობით ჩვენი ქვეყანა 68-ე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების დონით — 77-ე ადგილზე, გვისწრებს ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანაც კი. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით ქვეყნის ხელმძღვანელობის პირობებში საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის დახმარების ფონდი თითქმის გასაიდუმლოებული იყო და აქამდე ბიუჯეტის პროექტში არც კი მოიხსენიებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლეს საბჭოში მის განხილვაზე. მაგალითად, არავისთვის არ უკითხავთ ავღანეთში ჩვენი სამხედრო კონტიგენტის შეყვანა, რაც ქვეყანას თითქმის 60 მილიარდი მანეთი დაუჯდა.

საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის დახმარების ფონდი პირველად მოიხსენიეს მხოლოდ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, თუმცა ბიუჯეტის შესახებ დამტკიცებულ კანონში იგი აღარაა მითითებული ცალკე პუნქტად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საჯაროობის პირობებში ასეთი განუკითხაობა აღარ განმეორდება.

ბარნაბ კაპანაძე.
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

სიახლე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლს, მუშაობის შინაარსის არსებითად შეცვლასთან დაკავშირებით, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე ეწოდა.

სასახლის მთავარი მეცნიერი კონსულტანტი პროფესორი პეხუშბი კოტეტიშვილი: ფოლკლორი ყოველი ერის სულიერი კულტურის საფუძველია, მისი შესწავლის გარეშე ეროვნული კულტურისა და ხელოვნების სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია. ქართული სიმღერები, ცეკვები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, საკრავები, გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების მხატვრული დეკორი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ხანაში იღებს დასაბამს და უწყვეტად მომდინარეობს დღემდე. თუ ახალგაზრდა თაობის აზროვნება დროულად არ დაემყნო ხალხური ხელოვნების ფესვებს, თუ თავიდან არ შეითვისა და შეიყვარა თავისი ეროვნული ფესვები, მაშინ იგი, შესაძლოა, გადაგვარდეს და გადაჯიშდეს. სწორედ ეს დიდი მისია ეკისრება თბილისის მოსწავლეთა ფოლკლორის სასახლეს, რომელმაც ჩვენს ბავშვებს უნდა აღუძრას ინტერესი ხალხური შემოქმედების მიმართ, გამოუშუშოს ფოლკლორული ნიმუშების მოძიების, შეკრებისა და შესწავლის ჩვევები, დაუფლოს ნამდვილი ნამდვილი ქეშმარიტ ხალხურ ტრადიციებს, გაუთვისოს მრავალსუკუნოვანი ეროვნული კულტურა, რათა შედეგად უკვე მათ გადასცენ ეს საპატიო ესტაფეტა მომავალ თაობებს.

სასახლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნათელა ჯილაური: არსებობის 15 წლის მანძილზე ამ დაწესებულებამ ძალზე დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია. საქვეყნოდ არის ცნობილი ჩვენი ხალხური სიმღერის ანსამბლი, „მართვა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — ანზორ ერქომაიშვილი, ლოტბარი — კოტე მშვიდობაძე), ქოროგრაფიული ანსამბლი „თბილისი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — ფრიდონ სულაბერიძე, ქორეოგრაფები — ჯემალ სამხარაძე და თემურ ჩხაიძე), ხალხურ საკრავთა ორკესტრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ომარ კელაპტრიშვილი), საგალობლების გოგონათა გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ავთანდილ ჩხენველი), დრამატული და პანტომიმის თეატრები... 73 წრესა და 8 მხატვრულ კოლექტივში 1500 ბავშვია გაერთიანებული. ჩვენი ბავშვების ხელოვნებას გაეცნო არგენტინელი, დასავლეთგერმანელი, პოლონელი, იაპონელი, ჰოლანდიელი ნორჩი მაყურებელი. მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლედ გადაკეთება თვისებრივად შეცვლის ჩვენი მუშაობის შინაარსს. დღეს არსებული ზოგიერთი განყოფილება გაუქმდება, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ესთეტიკის, ხელოვნებისმცოდნეობის, საკონცერტო, საფორტეპიანო, მუსიკის თეორიის, სახვითი ხელოვნებისა. სამაგიეროდ შეიქმნება ზეპირსიტყვიერების, გამოყენებითი ხელოვნების, ეთნოგრაფიის, განყოფილებები, მათს მუშაობას გეხს მისცემენ სპეციალურად მოწვეული კონსულტანტები — თვითნები დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები. აი, ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი უკვე „გადმოვიბირეთ“ მთავარ მეცნიერ კონსულტანტად...

ამ ცვლილებებს ბიძგი ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ მისცა. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება რესპუბლიკის მთასა და ბარში, ძველი ქართული დამწერლობის, ეთნოგრაფიის, რელიგიის ისტორიის შესწავლის, ხალხური რეწვის — ფარდაგ-ჯეჯიმების ქსოვის, ხის ჩუქურთმის, მჭედლობის, მეთუნეობის დაუფლების ინტერესი ხალხური ცეკვა-სიმღერითა და თეატრალური ხელოვნებით ისედაც განთქმულ ამ სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში უფრო მრავლადაც მიიზიდავს ყმაწვილებს და ერის სამსახურისთვის მოამზადებს და გამოაწრთობს კადეც.

აქ უკვე აღარ იქნებიან ტრადიციული წრის ხელმძღვანელი და წრის წევრი, დამკვიდრდება ახალი ცნებები — ოსტატი და შეგირდი. მერე საზეიმოდ მოხდება შეგირდის ჯერ ქარგლად, მერე ოსტატად კურთხევა. ხალხური რეწვის სახელოსნოებში შექმნილი ნაწარმი იქვე გაიყიდება სპეციალურად აგებულ დუქნებში.

ამ სახეცვლილებებს, რა თქმა უნდა, განახლებული ბაზა სჭირდება. არსებული შენობის რეკონსტრუქცია 400 ათას მანეთამდე დაჯდება, ერთი ფლიგელი მოინგრევა და თანამედროვე, ორსართულიანი შენობა აიგება. ეზო გათავისუფლდება ზედმეტი მინაშენებისაგან და კეთილმოეწყობა. ისე რომ, დავით აღმაშენებლის ქუჩის № 103 სახლი გვარიანად იცვლის სახეს. ასეა გადაწყვეტილი, მაგრამ...

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბრის ბოლოს დაავალა დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორას, სახალხო განათლების სამმართველოს მიერ გაცემული საპროექტო დავალების შესაბამისად, 1989 წლის ბოლომდე უზრუნველეყო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადება. სამუშაოების შემკვეთის მოვალეობა დაეკისრა საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის დირექციას, ხოლო მოიჯარისა — „თბილრემმშენის“ ტრესტს. 1990 წლის გეგმაში უნდა შეტანილიყო მშენებლობის დაწყება, ხოლო 1991 წელს— მისი დამთავრება იყო გათვალისწინებული. სათანადო დავალებები მიეცათ საგზაო მეურნეობისა და „წყალკანალის“ სამმართველოებს, მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას, სხვა ორგანიზაციებს, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ ძალზე ნელა მიიწევს. 1990 წლის კალენდარზე კი უკვე სამი თვე გავიდა.

კეთილი საქმე კეთილადვე უნდა დასრულდეს. კეთილად და დროულად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როდემდე უნდა რჩებოდეს განკარგულებები ქაღალდზე?

ალექსანდრე ალექსიშვილი.

მრის სამსახურისთვის

გამოაწრთობს

ᲣᲙᲘᲡᲝᲥᲝᲗᲮᲘ

საკდესი იუწყება
6 აპრილი

● ინდოეთი

„გორბაჩოვის ფაქტორი“ მთელი მსოფლიოსათვის

დელი. „მ. ს. გორბაჩოვი — სსრ კავშირის პირველი პრეზიდენტი. მისი ძირითადი ამოცანები და პრობლემები“ — ამ თემაზე წარმომადგენლობითი სიმპოზიუმი გაიმართა ინდოეთის დედაქალაქში. წასში მონაწილეობდნენ ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, პარლამენტის წევრები, მეცნიერები და დიპლომატები.

მ. ს. გორბაჩოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში ხდება ძირეული ცვლილებანი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მთელ მსოფლიო გაერთიანებაზე, აღნიშნა თავის გამოსვლაში ინდოეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ზაილ სინგმა. ესოდენ ღრმა რეფორმების განხორციელებისათვის დიდი ვაჟკაცობაა საჭირო .

საბჭოთა ხელმძღვანელის დამსახურება ის არის, რომ მან შეიგნო საზოგადოებაში ცვლილებათა აუცილებლობა სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნა პარლამენტის დეპუტატმა ჯ. რედიმ. ახლა იგი აწყდება განიარაღების, ეკონომიკური ზრდის ნელი ტემპის, ქვეყანაში ეროვნებათშორისი უთანხმოების გამწვავების, კონსერვატორთა მხრივ კრიტიკის მწვავე პრობლემებს. ამიტომ არსებულ სიფრთხილეთა დაძლევისათვის ძალზე დროული ღონისძიება გახდა სსრ კავშირში პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება. საყოველთაოდ პოპულარული ლიდერის ხელში აღმასრულებელი ხელისუფლების კონცენტრაციას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის უსწრაფეს გამოსვლას შექმნილი რთული მდგომარეობიდან.

ჯ. ნერუს სახელობის უნივერსიტეტთან არსებული პოლიტიკური კვლევის ცენტრის პროფესორმა ბ. სენ გუპტამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „გორბაჩოვის ფაქტორს“ მთელი მსოფლიოსათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ახალი მიმართულება მისცა საერთაშორისო პოლიტიკას, შესაძლებელი გახადა შემობრუნება „ცივი ომიდან“ მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისაკენ.

● სსრ კავშირ-აშშ

თანამშრომლობა კოსმოსში

ნიუ-იორკი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა მხარი დაუჭირა მზის სისტემის შესწავლის, მათ შორის მთვარეზე და მარსზე ადამიანის გაფრენის დარგში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის იდეას, იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

„ბუშმა, — წერს გაზეთი, — მიიღო დადებითი ნიშანი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეეცდება „წინასწარი დიალოგი“ გამართოს არა მარტო საბჭოთა კავშირთან, არამედ ევროპის ქვეყნებთან, კანადასთან, იაპონიასა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული კოსმოსური კვლევის ინიციატივის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ“.

ათწლეულობით, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი კოსმოსის კვლევას ეკიდებოდნენ როგორც მწვავე და ძვირადღირებული მეტოქეობის ასპარეზს. მაგრამ ბოლო დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პირობებში სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება თანამშრომლობისათვის.

● ბონი

საპროტესტო მანიფესტაციები

ბერლინი. გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდებით გაიმართა მანიფესტაციები, რომლებშიც 100 ათასამდე ბერლინელი, სხვა ქალაქების ათიათასობით მცხოვრები მონაწილეობდა.

მანიფესტაციათა მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს დასავლეთ გერმანიის ფედერალური ბანკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წამყვანი პოლიტიკოსების განზრახვის გამო, რომ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის სავალუტო და ეკონომიკური კავშირის დამყარების დროს შემოღონ დისკრიმინაციული გაცვლითი კურსი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორი მარკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ მარკაში. ეს ღონისძიება, პროფკავშირთა ბევრი პოლიტიკური პარტიისა და ფართო საზოგადოებრიობის აზრით, მოსასწავლებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მილიონობით მოქალაქის ცხოვრების დონის მკვეთრად დაქვეითებას.

● რუმინეთი

ჩაუშესკუს ძმის გასამართლება

ბუქარესტი. აქ გრძელდება ანდრუცე ჩაუშესკუს — 66 წლის გენერალ-ლეიტენანტის, სიკვდილით დასჯილი დიქტატორის ძმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციისა და ეახელმწიფო უშიშროების ოფიცერთა სკოლის ყოფილი უფროსის სასამართლო პროცესი. უზენაესი სასამართლოს სამხედრო სექციამ მოუსმინა მთელ რიგ მოწმეებს, რომლებმაც ჩვენება მისცეს 21-22 დეკემბრის ბრალდებულის მოქმედების შესახებ, როცა იგი ხელმძღვანელობდა მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩახშობას რუმინეთის დედაქალაქში.

ა. ჩაუშესკუ ჩაუშესკუების ოჯახის პირველი წევრია, რომელიც თავისი უფროსი ძმის ნ. ჩაუშესკუსა და მისი ცოლის სიკვდილით დასჯის შემდეგ სამართალში მისცეს დეკემბრის რევოლუციის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის.

ფოტოინფორმაცია

ბონი. გარემოს დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინპისი“ თავისი ბრძოლის სხვა ასპექტებთან ერთად მოითხოვს უპირველესი ყურადღება მიაქციონ ოზონური ფენის გაქრობის პრობლემას, რომელიც იცავს სიცოცხლეს დედამიწაზე ულტრაიისფერი სხივების დამლუპველი ზემოქმედებისაგან. ამიტომ მათ არასაკმარისად მიაჩნიათ 5-10 წლის განმავლობაში ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებების წარმოების შეწყვეტის შესახებ ვალდებულებები, რომლებიც ამ ქვეყნის ქიმიურმა საწარმოებმა იკისრეს.

სურათზე: ასეთი მანიფესტაცია მოაწყო „გრინპისის“ ასზე მეტმა აქტივისტმა ბად-ვიმპფენში, უზარმაზარ ტრანსპარანტზე, რომელიც მათ ადგილობრივი ქიმიური ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე დაამაგრეს, წარწერილია, რომ ეს საწარმოოა „ოზონს № 1 მკვლელია“.

დპა-საკდესის ფოტო.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲗᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲔᲚ

ქართული კალენდრის შესახებ

კალენდარი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მასობრივი, პოპულარული გამოცემაა, და ეს ნამდვილად ეროვნული საქმეა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასზე მუშაობა ძალზე სპეციფიკურია და ენციკლოპედიური ხასიათს ატარებს. იგი მარტო დღეთა და რიცხვთა აღმრიცხველი არ არის, ხატოვნად რომ ვთქვათ, ღრმად მხუცი და მარად ახალგაზრდაა, შინაარსობრივად ბევრ ძველ თუ ახალ ამბავს გვამცნობს, მრავალფეროვან მასალას მოკლედ, შეკუმშულად აწვდის მკითხველს.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ დღემდე კალენდარზე მუშაობის ძალზე კუსტარული წესი გვაქვს, მასზე მოთხოვნილება კი იზრდება. კალენდრის შინაარსის, გამოცემის ტექნიკის გაუმჯობესების, ასევე ცალკე რედაქციის დაარსების, ჭალისა და საყმაწვილო კალენდრების გამოცემის საკითხებზე მოსაზრებები ჯერ კიდევ ადრე გამოვთქვი.

ეროვნული კალენდრები (გამოცემის ტიპი და სახეობა) მრავალნაირია, მაგრამ ჩვენ ამ მხრივ გათამამებულნი არ ვართ (რასაკვირველია, მხედველობაში არა მაქვს უცხოთის წაბაძვით დაბეჭდილი ფიოლ-კატებითა და თუთიყუშებით, გავაშიშვლი და მკერდმოღეღილი ქალებით ილუსტრირებული კალენდრები). დღეს საქართველოს ჭეშმარიტად ეროვნული კალენდრები კი არა, კალენდარიც არა აქვს. ეს არც არის გასაკვირი. არ არსებობს ქართული კალენდრის რედაქცია, როგორც ასეთი. ენციკლოპედიური სამუშაო კი ვინ უნდა შეასრულოს, ერთმა კაცმა?

მრავალნაირობის, მრავალრიცხოვნობის ან ცალკე აღებული რომელიმე მათგანის მიუხედავად, კალენდარი • დამოუკიდებელი ტიპის გამოცემად ითვლება და არ შეიძლება მისი აღრევა სხვა სახის ლიტერატურასთან, მისი მიტმასნება სხვა რედაქციასთან. უნდა არსებობდეს ცალკე რედაქცია, რომელსაც შემოქმედებითი, საქმიანი, ტექნიკური ურთიერთობა ექნება როგორც საზოგადოებასთან საერთოდ, ისე სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციასთან, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ეყოლება საარედაქციო საბჭო და რედკოლეგია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ შორეულ მომავალში ჩვენი კალენდრის ბეჭდვა სხვა წესით და სხვაგან მოგვიწევს, როგორც ეკვენ ორსებული საბეჭდი მანქანა, რომელზეც კალენდარი ახლა იბეჭდება, არის საბჭოდრო ნაგავი და როგორც ამბობენ, მალე ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. ამჟამად ქართული კალენდრის საქართველოში დასტამბვის საკითხი შესწავლის პროცესშია და საბოლოო სტუდია მოგვიანებით ითქმება. საქმის განსახორციელებლად, რასაკვირველია, დაბმარებაა საჭირო.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ერთი ინერი, ცალკე რედაქციის შექმნა ხელს შეუწყობს ყველა ტიპის და თემატიკის კალენდრის გამოცემის საქმის ერთ ხელში თავმოყრას. ქართული კალენდრის რედაქციის შექმნის აზრი არც ფანტასტიკურია და არც უტოპიური. ამ საქმის მოგვარება, ძირითადად, ხელმძღვანელი ორგანოების მონდომებას და საქმის არსში წვდომაზეა დამოკიდებული. საჭიროა მომავალზე ფიქრი და ზრუნვა, რადგან ბევრი ნამყო და აწმყოც შეეწირა წინაპაწარ მოუფიქრებლობას და მყოფადაც ნუ შეეწირავთ! დროზე თუ არ ვიზრუნეთ და არ გავითვალისწინეთ არსებული თუ შესაძლო ნაკლი და მხოლოდ „ნაჯახი ვლესეთ“, საქმის არ უშველება. ეთქვა ეტეტეს, რომ ყველა გაწბე რჩება და ფაქტობრივად ჯობი ერთზე ტყდება.

გულმოდგინებას შედეგი მოაქვს და უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით გაუჭობესდა მაგიდის გადასაფურცლი კალენდარი, იგი უფრო კომპაქტური გახდა და ორ, ფუნქციას ემსახურება: არის როგორც საცნობარო, ისე საქმიანი ჩანაწერებისათვის განკუთვნილი. მაგრამ არც მთლად სახარბიელოა.

ჯერ კიდევ შარშანწინ გამოვთქვი აზრი „ჭალის კალენდრის“ გამოცემაზე, მაგრამ ქაღალდი არ გვქონდა. კიევს, სადაც ჩვენი კალენდარი იბეჭდება, ქაღალდს აწარმოებენ, ოლქის ბალახნის კომბინატი, რომლის დირექტორმაც ადგილზეკი ჩასვლისას, ვითომ ტელეფონით ვერ მამცნობდა, განმიცხადა: ქაღალდს გამოგიყოფთ, ისიც ორმაგ ფასში, თუ ცემენტით დაგვეხმარებითო. საქმე თითქოს აეწყო. სულ ბოლო მომენტში კი, 9 აპრილის მერე, უარი შემოთვალა. მკითხველი მიხვდება, იქ ჩასვლა მარტო სამგზავრო ხარჯებით არ ამოიწურებოდა...

ამჟამად, ბეჭდვსახკომის თავჯდომარის, რევაზ ღლონტისა და გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორის ჯანსაღი ჩარეკვის მეცადინეობით საჭირო ქაღალდი გამოყოფილია და ჩვენი ჭალები მიიღებენ თავიანთ კალენდარს, რაც უდავოდ კარგი საჩუქარია, მომავალში კი ქართველ ბავშვებსაც დავასაჩუქრებთ „საყმაწვილო კალენდრით“.

სიერთოდ არ შეიძლება არ შეეხოთ იმ პრობლემებს, რომლებიც კალენდრის სტრუქტურის წინაშე დგას. იგი გარკვეულ წესს ეფუძნება, კერძოდ, საერთო საკავშირო გრაფიკს, რომლის მიხედვითაც არის შესული კალენდარში საზეიმო თუ სადღესასწაულო თარიღები. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ეს გრაფიკი დაცული იყო და დღეს, ჩვენი წლევანდელი კალენდარი სტერეოტიპული აღმოჩნდა. არც არის გასაკვირი, რადგან, მართალია, 9 აპრილის მერე ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ისიც ნუ დავივიწყებდა, რომ კალენდარი მომზადდა 1988 წელს და დასაბეჭდად გადაეცა 1989 წელს. ვინც მისი ბეჭდვის ტექნოლოგიური მხარე იცის, გარკვეულია იმ ნიუანსებში, რომლებიც ახლავს ამ გამოცემის ბეჭდვას, დიდად ალ დაიწყებს დავას. მაგრამ ვინც არ იცის, მას შეიძლება ეგონოს, რომ რასაც გინდა და როგორც გინდა, ისე შევცვლიო.

საქმის ფაქტობრივი მხარე კი ასეთია: კალენდრის შედგენა ხდება 10 თვეში, რედაქტირება — 2 თვეში. შემდეგ იგი მიდის წარმოებაში, ხდება მისი დამატრიცება და მატრიცები იგზავნება კიევში. შეიძლება გზადაგზა კიდევ შეცვალო რაიმე, მაგრამ „ისეთ „რაიმეს“, რასაც ჰქვია ჰიმნი, ინტერნაციონალი, ოქტომბერი, 25 თებერვალი, 30 დეკემბერი, დამეთანხმებით, სახელდახელოდ ვერ შეცვლი. ჯერ ერთი, კალენდარს კერძო პიროვნება არ სცემს, იგი სახელმწიფო გამოცემაა და როგორც აღვნიშნე, თავისი მკაცრად დადგენილი სტრუქტურა და გრაფიკი აქვს და არა მარტო ჩვენთან, არამედ იქაც, სადაც იბეჭდება და თავის თავზე არავინ აიღებს ამის შესრულებას, რაც ჩვენ შეცვლილი ვითარების გამო გაგვიჩნდა. მართალია, იქაური კოლეგები მეტ-ნაკლებ ალალ-ბატონურ ადამიანებად ითვლებიან, ოღონდ ეს ალალ-ბატონობა ზოგჯერ ბოროტ ხუმრობად ექცევა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისს შემმატა

მოედანმა სახე იცვალა

თბილისელთა თვალი დიდ ხანია შეეჩვია სპორტის სასახლის წინა მოედანზე მიმდინარე მშენებლობას. ძალზე ბევრს აინტერესებს, თუ რა სიახლეს გვთავაზობენ მშენებლები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შარშან მაისში მიიღო დადგენილება მოედნის რეკონსტრუქციის თაობაზე. რეკონსტრუქციის პროექტი დაამუშავა არქიტექტორთა ჯგუფმა გივი ჯაფარიძის, ვლადიმერ ქურთიმშვილისა და ვლადიმერ გობოზოვის შემადგენლობით. თავიანთ პროექტს მათ „მომღერალი შადრევანი“ დაარქვეს.

ძირითადი სამუშაოების შესრულება დაეკალა „ინკომშენის“ № 3 სამმართველოს, მოპირკეთება კი — ინტურისტის № 1 სამშენებლო სამმართველოს. ერთობლივი ძალისხმევით დაიძლია მუშაობის პროცესში წარმოჩენილი მრავალი პრობლემა. მშენებლობა უკვე დასრულებულია, ახლა მიმდინარეობს და უახლოეს დროში დასრულდება შადრევნების მონტაჟი.

ეს კომპლექსი ორსართულიანია. ზეგით ფერადი მუსიკალური შადრევნები იქნება, ქვეგით — აუზი. იქვე იქნება 50-ადგილიანი ახალგაზრდული კაფე-ბარი, სპორტის სასახლის სალაროები, გაიხსნება მაღაზიები. აქედან შესაძლებელი იქნება მეტროპოლიტენის სადგურ „პოლიტექნიკურ ინსტიტუტში“ შესვლა. სპორტის სასახლესა და სასტუმრო „აჭარას“ შორის გაყვანილი გასასვლელი მოემსახურება სპორტსმენებსა და უცხოელ ტურისტებს.

ამ ადგილის რეკონსტრუქცია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც გამართლებულია: აღებულია ასფალტის ვრცელი ფართობი, მის ადგილას მოჩუხჩუხე შადრევანი გაშენდს, გააგრილებს ჰაერს.

მართალია სამმავლოდ, მაგრამ გათვალისწინებულია „აჭარის“ წინ მდებარე მოედნის რეკონსტრუქციაც, მიწისქვეშა გვირაბის გაყვანა, რომლის პროექტსაც ამჟამად ამზადებს ქალაქის საპროექტო ინსტიტუტი.

როგორც ვთქვით, მშენებლობა დამთავრებულია. მშენებლებ ი გვპირდებიან, ერთი თვეც და თბილისელ ახალგაზრდებს კიდევ ერთი კუთხე გადაეცემათ, სადაც ახლობლებსა და მეგობრებთან ერთად თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალება ექნებათო.

ინგა ალავიძე.

ლამაზ და ნაირფერ საფირმო პროდუქციას უშვებს თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა. თბილისის მაღაზიათა დახლებს ჩვეული ატრიბუტი გახდა საწვრთნელი კოსტიუმებისა და ფეხბურთის მაისურების ახალი მოდელები, რომლებიც გამოირჩევიან არა მარტო ფერთა ჰარმონიული შეხამებით, არამედ მოდური, ორიგინალური, ელეგანტური შეკერილობით. მსოფლიოში ცნობილი დასავლეთგერმანული ფირმა „ადიდასის“ ფურნიტურით გაწყობილი ეს საქონელი მაშინათვე იპყრობს მომხმარებლის ყურადღებას.

სალიცენზიო პროდუქცია თბილისელებისათვის ხელმისაწვდომი პირველად გასული წლის დამლევს გახდა. მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თბილისის მარკით გამოშვებული, სამი ზოლითა და მკერდზე სამი ფოთლით დამშვენებული ნაწარმი ძალზე პოპულარული გამხდარიყო განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. დახლებზე დიდხანს არ რჩება „მაკენზის“ მოდელის თეთრი, ლურჯი, წითელი მაისურები და სპორტული კოსტიუმები. დიდია მათზე მოთხოვნა.

კონტრაქტში აღნიშნული „ადიდასის“ მარკის 29 სალიცენზიო მოდელიდან ქართველმა სპეციალისტებმა უკვე თორმეტი აითვისეს. უახლოეს მომავალში გაიყიდება კიდევ სამი სახეობის სპორტული კოსტიუმები, ორი სახეობის საფეხბურთო მაისურები, საწვრთნელი შარვლები, ჩოგბურთის ფორმა ქალებისა და მამაკაცებისათვის, მათი შემუშავებისა და დახერგვისათვის საწარმო შეივსო ახალი მოწყობილობით, რომელიც დაჯდა 800 ათასი მანეთი ვალუტით. და, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, ფაბრიკა დაიწყებს საბავშვო ასორტიმენტის გამოშვებასაც, რომლის მწვავე დეფიციტს განვიცდით. წელს 8-12 წლის მოზარდებს შესთავაზებენ ორიგინალური სპორტული კოსტიუმების ორ მოდელს. საერთოდ, საწარმო ყოველწლიურად 5-6 მოდელით გაიაახლებს სალიცენზიო პროდუქციას.

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნა ხარისხიანი და ელეგანტური სპორტული ტანსაცმლით, — თქვა თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის დირექტორმა რომან რურუამ. — ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ეს შესაძლებელი გახდება. განზრახული გვაქვს მთელი სალიცენზიო პროდუქციის დაახლოებით 80 პროცენტი დავტოვოთ საშინაო ბაზრისათვის, თუმცა მასზე მოთხოვნა დიდია მთელ ქვეყანაში.

სხვათა შორის, თბილისური პროდუქციის ხარისხი დღეს სპორტსმენებსაც მოსწონთ. ფაბრიკაში იღებენ შეკვეთებს რესპუბლიკის ოსტატთა სხვადასხვა კოლექტივების, ნაკრები გუნდებისაგან. ახლახან საქართველოს კარატისტთა ნაკრება გუნდი პირველად გამოვიდა ლიმაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. თბილისურ „ადიდასში“ გამოწყობილი ჩვენი სპორტსმენები არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ სხვებს, რომლებსაც სხვა ფირმების ნაწარმი ეცვათ.

— რა თქმა უნდა, თანამშრომლობას სახელგანთქმულ „ადიდასთან“ თავისი სირთულეები აქვს) — გვითხრა რომან რურუამ. მაგრამ ასეთ საქმეს თავისი დიდი დადებითი მხარეებიც გააჩნია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მუშათა ოსტატობა და, რაც მთავარია, გაიზარდა თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის. ყოველივე ეს ხარისხის გარანტიას იძლევა.

თბილისურ ნაწარმს არ სჭირდება განსაკუთრებული რეკომენდაცია. მის მიმართ გამოიჩინეს ინტერესი ესპანეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილმა ფირმებმა, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ ჩვენ სპეციალისტებთან. თვით „ადიდასის“ ფირმას განზრახული აქვს კიდევ ოთხი წლით გააბანგრძლივოს კონტრაქტი, რომლის ვადა 1991 წელს იწურება. ეს გვაცნობეს ფირმის „ვიცე-პრეზიდენტმა ანდრე კოლასინსკიმ და მენეჯერმა ეკონომიკური სამსახურის დარგში ჰანს-უდო გაზდორფმა, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ თბილისში.

— საქმიანი საუბრების დროს განვიხილეთ მთელი რიგი პრობლემები, გამოვთქვით ჩვენი პრეტენზიები, — თქვა შემდეგ რომან რურუამ. — პრეტენზიები კი ორივე მხარეს ჰქონდა, კერძოდ, შარშან გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად ნაკლები პროდუქცია გამოვუშვით. და ეს „ადიდასის“ ბრალია. პარტნიორებმა მხოლოდ წლის დამდეგს დაიწყეს შესაბამისი ფურნიტურის მოწოდება.

დასავლეთგერმანელმა სტუმრებმა გამოთქვეს კმაყოფილება ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობის გამო და თქვეს, რომ განზრახული აქვთ გახსნან ჩვენს დედაქალაქში ფირმა „ადიდასის“ სპეციალიზებული სავაჭრო მაღაზია. თანაც, ისინი მზად არიან შეისყიდონ საქმარისი რაოდენობის მთელი რიგი მზა თბილისური მოდელები, მათი ნიმუშები დასავლეთ გერმანიის ფირმის წარმომადგენლებმა თან წაიღეს და უჩვენებენ მიუნხენის მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც აპრილის დამდეგს გაიმართება. გამოფენაზე რ. რურუაც არის მიწვეული.

სხვათა შორის, თბილისის ფაბრიკის დირექტორი გახდა ლიცენზიებით პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა მაღაზიების საკავშირო ასოციაციის შექმნის ინიციატორი. ასეთ მაღაზიებში გაიყიდება დასავლეთგერმანული ფირმის მარკიანი ნაწარმი.

შ. შალოლაშვილი.
საქინფორმის კორ.

სურათებზე: თბილისელ კონსტრუქტორთა სპორტული მოდელები. თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის დირექტორი რომან რურუა (ცენტრში), ანდრე კოლასინსკი და ჰანს-უდო გაზდორფი.

სერგო ედიშერაშვილისა და ვიხეილ კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

გაიმართა საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს პირველი გაფართოებული სხდომა, რომლის მთავარი საკითხი იყო 9 აპრილი — საქართველოს გლოვისა და გამოღვიძების დღე. სხდომაზე აღინიშნა, რომ 9 აპრილის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დიდი უმრავლესობა გახდა უფრო მართალი, გაბედული და, რაც მთავარია — ეროვნული. ამასთან, გამოთქვა მოსაზრება, რომ ძასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხელმძღვანელი კადრების დანიშვნა უნდა ხდებოდეს, უწინარესად, სარედაქციო კოლექტივების, და აგრეთვე, ჟურნალისტთა კავშირის აზრის გათვალისწინებითაც, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ჟურნალისტიკის წინსვლას.

მსჯელობა გაიმართა საქართველოს შესახებ საკავშირო პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ პუბლიკაციებზე, რომლებიც მეტწილად ჭორსა და დეზინფორმაციაზეა აგებული. ამის საილუსტრაციოდ ერთ-ერთი „საუკეთესოა“ „ლიტერატურნაია გაზეტას“ 28 მარტის ნომერში გამოქვეყნებული უცხოეთის პრესის ინფორმაცია სათაურით „ვანდალიზმის აქტი“, რედაქციის კომენტარის გარეშე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო საჭიროდ თვლის, რომ კავშირთან, გარდა ქართულენოვანისა, შეიქმნას თავისუფალი რუსულენოვანი გაზეთი, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ამგვარ გამოხდომებს, ობიექტურად ასახავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

სამდივნომ მოიწონა 9 აპრილთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოცემული ერთჯერადი გაზეთი „ტრაგედიის ერთი წელი“, რომელი გვერდებზე დაბეჭდილია მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორთა მოსაზრებანი აპრილის მოვლენების ირგვლივ. ამ მოსაზრებებს განმარტავს თამაზ შავგულიძე. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთის ჰონორარიდან 2000 მანეთი გადაირიცხება 9 აპრილის ფონდში.

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირს უკვე მიეცა საშუალება უფრო ფართოდ გაშალოს საქველმოქმედო საქმიანობა:

მერაბ კოსტავას ფონდში უკვე გადაირიცხა 30.000 მანეთი, წმინდა პანტელეიმონის ეკლესიის რესტავრაციის სამუშაოებისათვის კი 5000 მანეთი; მკითხველი მალე მიიღებს რუსულ ენაზე დასტამბულ წიგნს „9 აპრილი“, რომლის შემოსავლის დიდი ნაწილი გადაირიცხება 9 აპრილის ფონდში.

გუშინ გაიხსნა 9 აპრილის მოვლენებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელიც მოამზადა ჟურნალისტთა კავშირმა ფოტოჟურნალისტთა და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციასთან ერთად.

9 აპრილს — გლოვის დღეს — კავშირი უმასპინძლებს ჟურნალისტთა დელეგაციებს.

ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე გამოიკვეთა ჟურნალისტთა კავშირის პოზიცია: იყოს იმ მოვლენების აქტიური მხარდამჭერი, რაც სიკეთეს მოუტანს ქართველი ხალხის საერთო მიზანს, ჩვენი საშობლოს, ერის სიმტკიცესა და ძლიერებას.

ხსოვნა

სევდის ელფერით...

სამუსიკო სკოლის მოსწავლეების გამოსვლას სიმფონიურ ორკესტრთან ყოველთვის საზიარო ხასიათი აქვს. თუმცა, ინ დღეს თბილისის მუსიკალ. კულტურული ცენტრის საკონცერტო დარბაზში გამართულ ასეთ კონცერტს სევდის ელფერი დაჰკრავდა. ქალაქის მერვე სამუსიკო სკოლის ყოსწავლეებმა და მასწავლებლებმა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამართეს კონცერტი, რომელიც მიეძღვნა სკოლის ყოფილი პედაგოგის მერაბ კოსტავას ხსოვნას. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში აქ მუსლიტერატურის კურსს კითხულობდა.

მართლაც, მოსწავლეებმა: ნინო გაბაშვილმა (პედაგოგი ი. მაღალაშვილი), ანა სეროფიანმა (პედ. ე. კრესტინსკაია), ნინო ბუაჩიძემ (პედ. ნ. ახალაძე), ლერი მიხეილაშვილმა (პედ. მ. პოლტორაცკაია), გიორგი ხელაშვილმა (პედ. მ. იოსელიანი), ეკატერინე ყუფარაძემ (პედ. პ. თოფადე), ქეთევან აზანიშვილმა (პედ. ც. დოლიძე) და ეკა შარაშიძემ (პედ. მ. ლობჟანიძე) შესაფური მონდომებით შეასრულეს ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, ბახ-ვივალდისა და კაბალევსკის საფორტეპიანო ქმნილებათა შესანიშნავი ნიმუშები. ხოლო კონცერტის ბოლოს მოცარტის მუსიკის, მართლაც რომ, ჭეშმარიტი ბრწყინვალება შეეგრძნინთ. ეს იყო კომპოზიტორის № 23 (ლა მაჟორი) და № 27 (სი-ბემოლ მაჟორი) საფორტეპიანო კონცერტების II და III ნაწილების აჟღერება, იგი სამაგალითო ოსტატობით შეასრულეს სკოლის ახალგაზრდა პედაგოგებმა მზექალა ბერძენიშვილმა და მარინე ლობჟანიძემ. მათ დაკვრაში მკაფიოდ გადმოიცა მოცარტისეული „კანტილენის განუმეორებელი სილამაზე და „რონდოს“ შეუდარებელი სინატიფე.

კონცერტის წარმატებას ხელი შეუწყო ორკესტრის დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რევაზ ტაკიძის გამოცდილებამ.

სკოლის დირექტორის ე. მითაიშვილის წინადადებას, რომ სკოლას ეწოდოს მ. კოსტავას სახელი, დამსწრე საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა.

ალექსი შანიძე.
კომპოზიტორი.

ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ორი ტურის შემდეგ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ტურის მატჩები ასე დამთავრდა: რუსთავის „გორდა“ — თბილისის „იბერია“ — 1:1, წყალტუბოს „სამგურალი“ — ხაშურის „იერეთა“ — 0:1, გალის „მზიური“ — ფოთის „კოლხეთი“ 0:4, გორის „დილა“ — „ბათუმი“ — 0:0, ლანჩხუთის „გურია“ — ცხინვალის „ლიახვი“ 6:0, „ონიანჩირის„ამირანი“ — სამტრედიის „სანავარდო“ — 0:1, ზუგდიდის „ოდიში“ — „ოზურგეთი“ — 0:0, ხობის „კოლხეთი“ — სოხუმის „ცხუმი“ — 1:0, თბილისის „შევარდენი“ — „ქუთაისი“ — 1:3.

ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო და დღეს ვერავინ იტყვის, როგორ განვითარდება მოვლენები. ორი ტურის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ,საარიზო ადგილებისთვის საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. ჩემპიონატს უკვე ჰყავს ლიდერები: 6—6 ქულა მოაგროვეს „გურიამ“, ფოთის „კოლხეთმა“, „სანავარდომ“, „ქუთაისმა“ და ხობის „კოლხეთმა“. „გურიისა“ და „ქუთაისის“ პირველი წარმატება, ცხადია, მოულოდნელი არ ყოფილა. ამ გუნდებში არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს. სიოერპრიზი შემოგვთავაზეს ფოთელებმა, რომლებმაც ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი მოიგეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე სამტრედიის, ხობისა და ბათუმის გუნდებმა. ალბათ არავინ მოელოდა, რომ თბილისის „იბერია“ ორ ტურში მხოლოდ ქულას აიღებდა. რესპუბლიკის პირველ გუნდს, როგორც ჩანს, გაუჭირდა ეროვნულ ჩემპიონატში „აკლიმატიზაცია“.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა მატჩებმა კორექტულად, ნამდვილ სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა. იმედია მომავალშიც ასე გაგრძელდება და ამით მხოლოდ ქართული ფეხბურთი მოიგებს.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილს (შეგახსენებთ, რომ მოგებისთვის გუნდებს 3 ქულა ეწერებათ, ფრედ დამთავრებული შეხვედრისათვის — 1 ქულა).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„გურია“	2	2	0	0	7-0	6
„კოლხეთი“ ფ.	2	2	0	0	5-0	6
„სანავარდო“	2	2	0	0	4-0	6
„ქუთაისი“	2	2	0	0	5-2	6
„კოლხეთი“ ხ.	2	2	0	0	4-1	6
„ბათუმი“	2	1	1	0	1-0	4
„ოზურგეთი“	2	1	1	0	1-0	4
„იერეთა“	2	1	0	1	1-1	3
„მზიური“	2	1	0	1	1-4	3
„იბერია“	2	0	1	1	1-2	1
„ოდიში“	2	0	1	1	1-2	1
„გორდა“	2	0	1	1	1-2	1
„ცხუმი“	2	0	1	1	1-2	1
„დილა“	2	0	1	1	0-1	1
„შევარდენი“	2	0	1	1	2-4	1
„ამირანი“	2	0	0	2	0-2	0
„სამგურალი“	2	0	0	2	1-4	0
„ლიახვი“	2	0	0	2	0-9	0

გაიმართა ევროპის საფეხბურთო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები.

ჩემპიონთა თასი. იტალიის მილანი“ — გფრ-ს „ბავარია“ — 1:0, საფრანგეთის „მარსელი“ — პორტუგალიის „ბენფიკა“ — 2:1;

თასების მფლობელთა თასი. ბელგიის „ანდერლეხტი“ — რუმინეთის „დინამო“ 1:0, საფრანგეთის „მონაკო“ — იტალიის „სამპდორია“ — 2:2.

უეფას თასი. გფრ-ს „ვერდერი“ — იტალიის „ფიორენტინა“ — 1:1, იტალიის „იუვენტუსი“ — გფრ-ს „კელნი“ — 3:2.

განმეორებითი მატჩები 17 და 18 აპრილს გაიმართება.

ნახევარფინალური მატჩები

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 3-8, დღისით 17-22, სანაპირო რაიონებში 12-17, მთებში 0—-პლუს 5, დღისით 16-21 გრადუსი სითბო, მაღალმთიანეთში ღამით მინუს 3—პლუს 2. დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი სითბო, მთებში ღამით მინუს 3 — პლუს 2, დღისით 9-14 გრადუსი სითბო, მაღალმთიანეთში 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
მინდია უბარეხელიძე.

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა და ჟურნალი „ეკონომისტი“

აცხადებენ კონკურსს 1990 წელს გამოქვეყნებულ საუკეთესო ნაშრომზე, რომლის თემაა „გარდაქმნა და რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტი“.

კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პიროვნება, ისე ავტორთა კოლექტივი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 600 მანეთი,
ორი მეორე პრემია — 400 მანეთი (თითოეული),
სამი მესამე პრემია — 250 მანეთი (თითოეული).

ნაშრომი და დოკუმენტები ორ ეგზემპლარად წარმოდგენილ უნდა იქნეს საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობაში 1990 წლის 20 ნოემბრამდე. ნაშრომს უნდა ახლდეს ცნობა, რომელშიც ნაჩვენები იქნება: ავტორის (ავტორთა) გვარი, სახელი, მამის სახელი, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, სამუშაო ადგილის სრული დასახელება, თანამდებობა, ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი.

საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მისამართია: თბილისი, ჯავახიშვილის, 16 (გ. ვარსიმაშვილი). ტელეფონი ცნობებისათვის: 93-69-06.

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

9 აპრილი

პირველი პროგრამა. გლოვის დღე 15.25 — ქართული საგალობლები. 16.25 ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. 16.35 — „და წვიმდა ფოთში“. 16.55 — მოსწავლეთათვის — „მოწამეთა შვილები“. 17.40 — ანდრია ბალანჩივაძის სიმფონია. 18.15 — ლიტერატურული გადაცემა „დალაი ვთქვათ“. 18.55 „ღმერთმა ნუ დაგვავიწყოს“ პარაკლისი სიონის ტაძარში. 19.45 — შ. დავითაშვილი — დავიდოვის სიმფონიური სურათი „9 აპრილი“. 20.00 — მოამბე. 20.30 — ვ. აზარაშვილის სიმფონიური სურათი „ელეგია“. 20.40 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველად იყო სიმღერა“. 22.00 — ვრემია“ (მ.). 22.30 — ჯ. ვერდი — „რექვიემი“.

მეორე პროგრამა. 15.10 — 22.00 — საქართველოს ტელევიზიის I პროგრამის გადაცემების დუბლირება.

სამშაბათი

10 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 14.20 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 17.05 — შვეიცარიელთა გერმანული ენა. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე სურათი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან“. 18.30 — მოსწავლეთათვის — „ამაგდარი“ (ვ. რამიშვილი). 19.15 — „ჩვენი პრესკონფერენცია“ — ვაჭრობა და მომხმარებელი. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრესკონფერენცია“ (გაგრძელება). 21.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 21.45 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე“.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „საფასური“ (პირველი ჩვენება). 18.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „უცხო ფრინველი“. და „მჭიდელი“. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ორმოცდაცამეტი წლის ცივი ზაფხული“.

ოთხშაბათი

11 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 —მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 14.20 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 17.05 — შვეიცარიელთა გერმანული ენა. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამაგდარი ცხოვრებიდან“. 18.30 — მოსწავლეთათვის — „ამაგდარი“ (ვ. რამიშვილი). 19.15 — „ჩვენი პრესკონფერენცია“ — ვაჭრობა და მომხმარებელი. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრესკონფერენცია“ (გაგრძელება). 21.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 21.45 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე“.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სულხან-საბა ორბელიანი“. 16.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დრო არ ითმენს“ 1-ლი და 2-ე სერია. 18.55 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „არენაზეა ლურიხი“.

პარასკევი

13 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მასწავლებლის საათი — დაწყებითი განათლება. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ რერიხი“. 17.25 — უფროსკლასელთათვის — საქართველოს ისტორია. 17.55 — მოსწავლეთათვის — „საუბრები დიპლომატიაზე“. 18.25 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 18.50 — ახალგაზრდობისათვის „ბარათაშვილი ლატვიის თეატრის სცენაზე“. 19.15 — სიახლე სამეცნიერო ატესტაციის სისტემაში. 20.00 — მოამბე. 20.35 — თეატრალური აფიშა. 21.05 — „ვერნისაჟი“ — ე. კალანდაძე. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.30 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.05 — დოკუმენტური ფილმი „ხედავდე, აზროვნებდე, მოქმედებდე“ (პირველი ჩვენება). 16.55 — სატელევიზიო დადგმა „ავი ბედი“. 18.15 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმები „გამარჯობა, მეზობელო!“ და „ლახტი“. 19.10 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „შვილიშვილი მილიციაში მუშაობს“.

შაბათი

14 აპრილი

პირველი პროგრამა. 10.05 — ათლეტიზმი. სასწავლო პროგრამა „ცოდნა“. 10.25 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.55 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“. 12.15 — მეგობრობის ეკრანი — სომხეთის ტელევიზიის გადაცემა. განმეორებითი ჩვენების ეკრანი. 13:15 — „ჩვენი ფონდიდან“ — ია კარგარეთელი. 14.15 — მოსწავლეთათვის „მზეო მომავლისა“. 14.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.50 — ახალგაზრდობისათვის — „მომავალი შენია“. 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.25 — „გლობუსი“. 16.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.20 — ხალხური შემოქმედების მე-8 საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „ცისარტყელა“. „რაჭული სიმღერები“ (საქართველოს ტელევიზიის გადაცემა) (მ.). 17.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.05 — „ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა“. 17.45 — „ხელოვნების ლექტორიუმი“ — ელ გრეკო. 18.15 — ლიტერატურული გადაცემა „გახსოვდეთ მარადის“ (ნაზი კილასონია). 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 21.00 — „ვერტიკალი“. 22.00 „ვრემია“ (მ.). 22.30 — ილუზიონი. 0.45 — სააღდგომო წირგალოცვა სიონის საპატრიარქო ტაძარში (ტრანსლაცია).

კვირა

15 აპრილი

პირველი პროგრამა. 10.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ქართული მართლმადიდებელი ეკლესია“. 10.30 — კინოაფიშა. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — საკვირაო გამოფენა. 11.35 — მოსწავლეთათვის — კლასიკური მუსიკის კონცერტი. 12.10 — კინომოზაიკა. 12.55 — საკვირაო გამოფენა. 13.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 14.00 — ვესტნიკი. 14.30 — კონცერტი. 15.00 — ვიდეო, ვიდეო... 20.00 — მოამბე. 21.00 — ვიდეო, ვიდეო... (დასასრული) 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.30 — ქართული დოკუმენტური ფილმის პრემიერა. „ქართველთა მონასტერი იერუსალიმში“. 23.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 23.55 — საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა.

შაბათი, 7 აპრილი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მთა მთას ელაპარაკება“. 9.55 — ათლეტიზმი. 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კლდეში ნაშენი სამყარო“. 11.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. ქართული დოკუმენტური ფილმი „სადღაც ომი იყო“. 11.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.00 — მოსწავლეთათვის. „მათი გატაცება“. 12.50 — მუსიკალური ფოსტა. 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თოჯინების თეატრის სპექტაკლი „მამლაყინწას თავგადასავალი“. 14.40 — საინფორმაციო გამოშვება. 14.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.55 — „ბუნების კარი“ (გამეორებით). 15.40 — ხალხური შემოქმედება „ხეზე გაკრული ლექსები“. 16.15 — კონცერტი. 17.00 — „განვიხილავთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ეკონომიკურ კონცეფციას“. 18.00 — ქართული კარატე საერთაშორისო სარბიელზე“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 21.00 — პატარა კონცერტი. 21.20 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამანი“. ფილმი მესამე „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.30 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.30 — ჩვენი ბაღი